შპს კვგ ჯგუფი- ინდივიდუალური
საბრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები
2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს კვგ ჯგუფი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. რეგისტრაციის და ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, ძველი თბილისი რაიონი, კოსტავას 45ა. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია 454409907, კომანია რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის დამფუძნებლები არიან:
ვალენტინა ქებურია -100%. პ.ნ 62004003886

კომპანიის დირექტორია დავით გაბუნია პ.ნ 62005002580

კომპანიის საქმიანობაა: საცხოვრებელი სახლების მშენებლობა შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და საბრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. (IFRS for SMEs)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

	31.12.2020	31.12.2021	31.12.2022
1 USD/GEL	3,2766	3,0976	2,7020
1 EUR/GEL	4,0233	3,5040	2,8844

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ საარღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნინული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება შემოსავლებში საქონლის მყიდველზე გადაცემის მომენტში. (ბინების გადაფორმების შემდეგ)

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები და შემოსავალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი ესტონური მოდელის შესაბამისად საწარმო არ აღრიცხავს მოგების გადასახადის ვალდებულებას, სანამ არ მოხდება ამ მოგების დივიდენდად განაწილება (განაწილებად ასევე შეიძლება ჩაითვალოს რიგი სხვა განაცემებიც). შესაბამისად გაუნაწილებელ მოგებაში ასახულია როგორც პარტნიორების წმინდა მოგება ასევე მოგების გადასახადი 15%.

ძირითადი საშუალებები

ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი მომსახურების პერიოდები:

მანქანა-დანადგარები	20%	5 წელი
ოფისის არჭურვილობა	20%	5 წელი
ავეჯი ინვეტარი	20%	5 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით.

სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია ხორციელდება ყოველთვიურად. შედეგები აღიარდება მოგება/ზარალში.

თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი მეთოდის“ გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სესხები

საპროცენტო ხარჯი და შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში და შემოსავლებში.

ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის

საწარმოს მომსახურებას არ ახლავს გარანტია, შესაბამისად არაა აქტუალური საგარანტიო ანარიცხების ან რეზერვების გაკეთება.

პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები

საწარმოს არანაირი პირობითი აქტივი და ვალდებულება არ წარმოქმნია 2022 წლის პერიოდში ან ანგარიშგების გამოქვეყნების მომენტისათვის, შესაბამისად არ აქვს ასახული ასეთი მუხლები ახსნა-განმარტებით შენიშნებში ან თავად ანგარიშებში.

4. ამონაგები

	2022 1 ლარი
შემოსავალი საქონლის (ბინების) რეალიზაციიდან	1 136 115,00
სხვა შემოსავლები	40 854,00
	1 176 969

საწარმოს მიერ მიღებული შემოსავლები ძირითადად ბინების რეალიზაციით მიღებული შემოსავლებია.

5. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლებს განეკუთვნება სამშენებლო ინვენტარის იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავლები, ასევე კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავალი.

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022 1 ლარი
ცვეთა და ამორტიზაცია	14 948
შრომის ანაზღაურება	247 345
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	4 654
ბანკის მომსახურების ხარჯი	955
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	142 120
საგადასახადო ხარჯები	5 740
სხვადასხვა	38 718
	454 480

7. ფინანსური ხარჯები

სესხზე დარიცხული საპროცენტო ვალდებულება

	2022 1 ლარი
	5 107

2022 წელს კომპანიის მიერ აღებულმა სესხმა შეადგინა 154 411 ლარი, საპროცენტო ხარჯი შეადგენს 5107 ლარს.

8. ფულადი სახსრები

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

	2022 1 ლარი
ნარდი ფული ეროვნულ ვალუტაში	0
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	25 651
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	56 512
	82 163

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022 1 ლარი
სავაჭრო დებიტორები	**85 533**
გაცემული ავანსები მომწოდებლებზე	-
საქვეანგარიშო პირზე გაცემული თანხები	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	-
	85 533

10. წინასწარ გადახდილი ხარჯები

	2022 1 ლარი
გადახდილი ავანსები	**68 581**

წინასწარ გაწეული ხარჯები მომწოდებლებზე ავანსად გადახდილი თანხებია.

11. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2022 1 ლარი
საქონელი	-
ნედლეული და მასალები	32 928
დაუმთავრებელი წარმოება (მშენებლობა)	216 758
	249 686

საწარმოს გააჩნია მასალები და მზა პროდუქცია.
მასალები გამოიყენება მშენებლობისთვის, დაუმთავრებელი წარმოება დაუმთავრებელი მშნებელობაა.

12. ძირითადი საშუალებების მოძრაობა

	2020 1 ლარი	2021 1 ლარი	2022 1 ლარი
მიწის ნაკვეთი	1 097 431	2 320 296	1 908 893
შემოსვლა	1 649 196	-	518 234
გასვლა	426 332	411 404	-
საბოლოო ნაშთი	**2 320 296**	**1 908 893**	**2 427 127**
მანქანა-დანადგარი	136 710	151 077	161 926
შემოსვლა	720	-	2 119
გასვლა	-	(2 797)	-
ცვეთა	(13 646)	(13 646)	(106 869)
საბოლოო ნაშთი	**151 077**	**161 926**	**57 177**
აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	68 843	60 985	49 670
შემოსვლა	5 376	1 594	191
გასვლა	(4 179)	(2 709)	(15 155)
ცვეთა	(9 055)	(10 200)	(6 743)
ცვეთის გასვლა	-	-	14 770
საბოლოო ნაშთი	**60 985**	**49 670**	**42 733**
საბალანსო ღირებულება	**2 532 358**	**2 120 489**	**2 527 036**

13. არამატერიალური აქტივები

კომპანიას არ გააჩნია არამატერიალური აქტივები

14. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებებში არის შემდეგი სახის მოკლევადიანი ვალდებულებები

	2022 1 ლარი
სავაჭრო კრედიტორები	-
მიღებული ავანსები	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	-
	0

სავაჭრო ვალდებულებებში არის მხოლოდ ანგარიშგების ვალუტაში ნომინირებული.

15. საგადასახადო ვალდებულებები

	2022 1 ლარი
სხვა საგადასახადო ვალდებულება	0

2022 წლის ბოლოს კომპანიას არ გააჩნია საგადასახადო ვალდებულებები.

16. სააქციო კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბრისთვის საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 177 182 ლარს.

პირობითი ვალდებულებები

საწარმოს არ ერიცხება რაიმე პირობითი ვალდებულება, ის არ იმყოფება დავაში ან არ შესულა ისეთ თავდებობაში, რომ გაეჩინა მოლოდინი რაიმე სახის ზარალის, გარანტიის ანაზღაურებაზე. საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების მომენტამდე არ გამოვლენილა ასეთი სავარაუდო ვალდებულების შესახებ რაიმე ნიშნები ან ცნობები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საწარმოში არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომელიც საჭიროებს დამატებით ასახვას ან განმარტებას შენიშვნებში. არ დამტკიცებულა დივიდენდი, არ დამტკიცებულა კაპიტალის შევსება ან შემცირება.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

პარტნიორებმა და კომპანიის დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 25 სექტემბერს.

საწარმოს დირექტორი

დავით გაბუნია

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	82163	253115	450702
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	85533	45446	49723
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	68581	17278	334557
მარაგები	322899	305380	3914600
მზა პროდუქცია	249686	274086	0
სხვა	73213	31294	3914600
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	64684	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	2527036	2036681	146346
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	940669
სულ აქტივები	3150896	2657900	5836597
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	0	0	0
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	29421
საგადასახადო ვალდებულებები	0	22812	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	159519	0	36899
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	30241	29710
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	159519	53053	96030
საკუთარი კაპიტალი			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	177182	0	11645
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2814195	2604847	5728922
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	2991377	2604847	5740567
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3150896	2657900	5836597
სულ მოკლევადიანი აქტივები	559176	621219	4749582
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0

ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	177182	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-520151	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	12118	-31579
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2991377	2604847

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1357076	4249326
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-1528028	-4446913
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-170952	-197587
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	253115	450702
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	82163	253115

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	1176968	2996834
საქონლის გაყიდვიდან	1136115	2983247
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	40853	13587
გაყიდვების თვითღირებულება	-142120	-5400481
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1034848	-2403647
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-247345	-454290
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-14948	-14891
საპროცენტო შემოსავალი	0	521
საპროცენტო ხარჯი	-5107	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-50067	-19069
სულ საოპერაციო ხარჯები	-317467	-487729
საოპერაციო მოგება	717381	-2891376
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	-212765
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	717381	-3104141
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	717381	-3104141
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	717381	-3104141
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2604847	5740567